საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება N 256

10/08/2015

სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არაალკოჰოლური სასმელების ნუსხის და თითოეული სასმელის სახეობაზე სავალდებულო მარკირების დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192[1] მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 78[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მატერიალური ან არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის N241 ბრძანებით დამტკიცებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 2201 და 2202 სასაქონლო პოზიციებში კლასიფიცირებული წარმოებული/იმპორტირებული წყლები და სასმელები (არაალკოჰოლური სასმელები), რომლებიც ჩამოსხმულია 20 ლიტრის და მასზე ნაკლები მოცულობის ჭურჭელში, გარდა იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 4 ლიტრამდე არაალკოჰოლური სასმელისა.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული არაალკოჰოლური სასმელის სავალდებულო მარკირება განხორციელდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან.

3. ამ ბრძანების მოქმედება არ ვრცელდება ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ იმ არაალკოჰოლურ სასმელებზე, რომლებიც წარმოებულია/იმპორტირებულია 2015 წლის 1 ნოემბრამდე.

4. ფინანსთა სამინისტროს იურიდიულმა დეპარტამენტმა და საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - შემოსავლების სამსახურმა უზრუნველყონ ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ნოდარ ხადური

მინისტრი